საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020178686819722

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/2794 **05 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარე ტერიტორიაზე 2552116 ტონა კირქვის (საცემენტე ნედლეული) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 53979 04.04.2022წ.).

ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით, ხოლო 10 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 2552116 ტონას, წელიწადში საშუალოდ 255211,6 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 255211,6 ტონაზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია სამ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 750-825 მ. სიმაღლეზე, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

ობიექტი არ ხვდება დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე